№ 67

შაბათი, 28 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 67

შაბათი, 28 მარტი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. შროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შუდინოვი.** 6—7 საათ· შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(წ)

ნაფიცი ვექილი
თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძე
# ვეზირიშვილი
სცხოვრობს გოლოვინის პროსპექტზედ, სახლი № 12, „კრუჟოკის" გვერდით. (3—59—3).

**მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ქართლ-კახეთ-იმერეთისა.**

დღეს, საქართველოს დედა ქალაქი მთელის საქართველოსავე ახალს ექსარხოსს მთავარ-ეპისკოპოსს ფლაბიანეს.

საჭიროდ მივაჩნია ზოგიერთი ცნობანი ვაუწყოთ მკითხველს ახალის ექსარხოსის შესახებ.

მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე დაიბადა 1840 წელს სიმბირსკის გუბერნიის ქალაქ ორიოლში. სწავლა დაამთავრა ჯერ გიმნაზიაში და 1857 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში და სწავლობდა საიურიდიო ფაკულტეტზე, ხოლო 1861 წელს მეოთხე კურსიდგან ნიკოლოზ ნიკოლოზმა გოროდეცკიმ (ასე ეწოდებოდა სახელად ექსარხოსს ერის კაცად რომ იყო) თავი დაანება უნივერსიტეტს და ბერად შედგა პეშნოშსკის მონასტერში და აქედგან 1863 წელს გადაყვანილ იქმნა სიმონოვის მონასტერში.

1866 წელს არქიმანდრიტი გური გაგზავნილ იქმნა რომში და მორჩილი ნიკოლოზი, ვითარცა კარგი მცოდნე უცხოელ ენებისა, დანიშნულ იქმნა იმის მდივნად. რომში მისვლის დროს მოულოდნელი ამბავი შეემთხვათ. რუსეთისა და პაპის სასახლის შორის სადიპლომატიო განწყობილება მოისპო და ახლად გაგზავნილნი არქიმანდრიტი და მისი მდივანი უკან დაბრუნდნენ რუსეთში.

1874 წელს მამა ფლაბიანე გაგზავნილ იქმნა პეკინში და აქ დიდი სამსახური გაუწია მართლ-მადიდებელ ეკკლესიას; გადასთარგმნა ჩინურ ენაზე მრავალი საეკკლესიო წიგნები.

1882 წელს არქიმანდრიტი ფლაბიანე გაემგზავრა იაპონიაში და იქ დიდი მონაწილეობა მიიღო მართლ-მადიდებლობის გავრცელებაში.

1884 წელს არქიმანდრიტი ფლაბიანე წამოვიდა რუსეთს და 1885 წელს აკურთხეს აქსაის ეპისკოპოსად. ხოლო 1892 წელს დანიშნულ იქმნა ხოლმი - ვარშავის მთავარ-ეპისკოპოსად.

წელს, 21 თებერვალს უმაღლესის ბრძანებით მთავარ-ეპისკოპოსი ფლაბიანე დანიშნულ იქმნა საქართველოს ექსარხოსად.

საქართველოს სწორედ რომ მხნე და სამართლიანი მთავარ-მწყემსი ესაჭიროება და ამიტომ იმედია, რომ ერი დააფასებს მომავალს მოღვაწეობას ჩვენს ქვეყანაში იმ მთავარ-მწყემსისას, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მართლ-მადიდებელ ეკკლესიის წინაშე ქრისტიანობის გავრცელებაში აზიის შორეულ მხარეს. ეჭვი არ არის, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა აქაც ისევ მხნედ და სამართლიანად ემსახურება ძველის ძველ მართლ-მადიდებელ ეკკლესიას და დაიმსახურებს სიყვარულს იმ ქვეყნისას, რომელიც სიცოცხლეს არა ზოგავდა ქრისტეს რჯულისათვის და მის სადიდებლად მრავალჯერ თვისი სისხლი დაუნთხევია.

**მთავრობის განკარგულებანი**

ებოძათ. სამსახურის წელთა შესრულების გამო სტატსკი სოვეტნიკობაერევნის გუბ. და ყარსის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის სამოსამართლო საქმეების რწმუნებულს ქლენტის, ნადვორნი სოვეტნიკობაამიერ-კავკასიის და ამიერ კასპიის მხრის საქციზო გადასახადის გამგეობის მდივანს სულხანიშვილს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა იმავე გამგეობის მე-VII ოლქის ზედამხედველის უმცროსს თანაშემწეს თავად ნაკაშიძეს, ქუთაისის გუბერნიის გამგეობის საგანგებო საქმეთა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელს ბახტაძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა-საქციზო გადასახადის გამგეობის მე-VI ოლქის უფროსს კონტროლიორს გარშიაშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: საქციზო გადასახადის გამგეობის უფროსს კონტროლიორებს: მე-VI ოლქისა—ფიცხელაურს და მე-V ოლქისა-ჯანელიძეს.

# ახალი ამბავი

⁂ ნამდვილის წყაროდამ შევიტყეთ, რომ არხიმანდრიტი ლეონიდე, წევრი ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორისა და წინამძღვარი დავით გარეჯის უდაბნოისა, უწმიდესს სინოდს დაუნიშნავს გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსად, ხოლო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი—მოსკოვის სინოდის კანტორის წევრად.

⁂ რუსეთის რკინის გზებით სამოგზაუროდ სააბონიმენტო ბილეთებით სარგებლობის შესახებ შემოღებულ იქმნება განსაკუთრებული წესი, რომლის ძალითაც ყოველ მოგზაურობის დროს ეს ბილეთები უნდა წარდგენილ იქმნენ ხოლმე კასსაში შესამოწმებლად. კასსაში

# ფელეტონი

**წერილები ინგლისიდგან**

(საკუთარის კორესპონდენტისა)

ლონდონი $15/_3$ მარტი.

ბურუსი.—ხალხის სიმრავლე.—ქუჩა.—ბრბოს ელფერი.—

ეს ხუთი დღეა, რაც ლონდონი მოიცვა აქაურმა შავ-ყვითელ ბურუსმა, თუმცა ეხლა ბურუსის დრო სრულებით არ არის. საზოგადოდ ლონდონში ბურუსი იცის ხოლმე ნოემბერსა, დეკემბერსა და ხანდახან იანვარში. ყველამ იცის ესა, ყველა ემზადება ბურუსისათვის, ყველა წუწუნებს, თბილად ეხვევა ტანთ-საცმელში, იბუზება, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც იტანენ ამ ბურუსს. ეხლა-კი სრულიად მოულოდნელად, უცბად გაზაფხულზე, როდესაც ყველანი სიხარულით მოელიან მზის დანახვას, მართალია მოკაშკაშე მზის მაგიერად, ცოტა ფერმიხდილს, გაწმენდილ შაურიანის მზგავსსა, მაგრამ ეს მზეც ხომ მაინც მზეა და ცა მაინც მოწმენდილია ხოლმე.

მერე რა უბედურებაა ეს ბურუსი. გიღუტუნებს ცხვირის ნესტოებს, ყელს, გთხრის თვალებს. ხელები, სახე და ტანთ-საცმელი შუადღემდე უკვე გადაკრულია ხოლმე შავის მტვერით, თითქო ხელთათმანები მურისა ან ჭვარტლისა გაცვიაო. დღეში სამ ოთხჯერ არის საჭირო ხელ-პირის დაბანა. ეხლა კარგად მესმის, რად არის საპნის შესახებ განცხადებით აჭრელებული ინგლისში და კერძოდ ლონდონში ჟურნალები, კედლები, ფიცრულები, ომნიბუსები, ვაგონები და რკინის გზის ლიანდაგის აქეთ-იქით მინდვრებიც. მერე-როგორი განცხადებებია და როგორ საპნის გაყიდვას არ აცხადებენ, რომ იცოდეთ? საპონი ტუალეტისა, საპონი ფხვნილად, საპნის ცომი, საპონი ქვიშით, თხელი და სხვ.

კარგად მესმის ისიც, რადა აქვს ჩვეულებად ინგლისელ დიასახლისს, სახლში რომ სტუმარი მიუვა, პირველად იმასა ჰკითხავს—ხელები ხომ არა გნებავთ დაიბანოთო. ხელთათმანიც რომ გეცვათ, ვერც ის დაგიფარავთ ჭვარტლისაგან... სხვა არა იყოს რა სასტუმრო ოთახში და სადილის დროს ხელთათმანებით ხომ არ იჯდება ადამიანი!.. ჭვარტლითა და კომლით ოთახიც ივსება. კარგად მესმის ეხლა, რად ლაპარაკობენ ერთ-თავად ამინდზე ლონდონელები. თუ ვინიცობაა წვრილი წვიმა მოდის და ერთს აღლზე ქუჩასა ჰხედავთ, ლონდონელი უეჭველად გეტყვით თავაზიანის ღიმილით: „მშვენიერი დარია, სერ!" უწინ, უნდა მოგახსენოთ, ასე მეგონა, დამცინიან მეთქი, რაკი მხედავენ, რომ უცხოელი ვარ. მაგრამ ცოტახანს რომ დავრჩი აქა, მერე მეც ულოცავდი კარგს ამინდს უცხოელებს, ისეთს ამინდს, რომელიც ზამთრად ეჩვენებოდა შვეიცარიელს, იტალიელს ან კიდევ ჩვენს ქვეყნის კაცს. მთელი ქალაქი წყვდიადით არის მოცული. მთელ დღეს ლამპრები გვინთია და ისე ვსხედვართ. მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, ამ ჟამად ისეთი ბურუსი არ არის, როდესაც მოძრაობა შესწყდება ხოლმე ლონდონში. ასეთი ბურუსი იშვიათად მოხდება ხოლმე და ერთის დღით მოძრაობის შეჩერება მილიონებად უჯდება ხოლმე ლონდონს, ამ მთელის ქვეყნის უდიდესს სავაჭრო ქალას. ჯერ მარტო ეს იფიქრეთ: ორთა შუა რიცხვით ლონდონის ტრამვაებსა, ომნიბუსებს და რკინის გზებს დღეში $1^1/_2$ მილიონი ხალხი დაჰყავთ... არა, მოძრაობა არ არის შეწყვეტილი! ლონდონში სიცოცხლე სდუღს და გადმოდის, ქუჩები სავსეა ეტლებითა და ხალხით. მთელ დღეს რალაც უცნაური ხმაურობაა ლონდონში, ასეთს ხმაურობას მარტო აქ გაიგებს კაცი და სხვა არსად. მხოლოდ ქუჩის ბიჭები ან გაზეთების მყიდველნი თუ დაიყვირებენ ხოლმე, მაგრამ საერთო ხმაურობაში ამათი ყვირილიც არ ისმის.

ლონდონის შუაგულ ადგილას, სადაც უმთავრესი ქუჩები უერთდება ერთმანერთს, ასეთის ბურუსის დროს, ათი ათასი ეტლი და აუარებელი ხალხი სწორედ რალაც ზღაპრულსა, ფანტასტიურს სანახავს წარმოადგენს. ბურუსსა და ნისლს არღვევს და არემარეს ანათებს ელექტრონის ათი ათასი ლამპარი, გამართული დიდსა და პატარა სიმაღლეზედ, მაღაზიებისა, თეატრებისა და სხვა შენობების კარ-ფანჯრები სულ ელექტრონის ლამპრებით არის განათებული. ელექტრონის თეთრ სინათლეს ეხმარება ყვითელი სინათლე გაზის ლამპრებისა. თუ კაი დარია, ეს მოედანი ისეა ხოლმე განათებული ლამპრებით, რომ გზაში, სიარულის დროს კარგად ვკითხულობ ხოლმე ფრანგულს გაზეთს, რომელიც აქ იყიდება. უჩვევი კაცი იბნევა, ძალა უნებურად შიში აიტანს, ამოდენა აუარებელ ეტლებს რომ ხედავს, აუარებელის ხალხით სავსეს. აქვე ირევიან მწვანილის გამყიდველნი და მწვანილს მიეზიდებიან სახედრებით. ხანდახან დაინახავთ ხოლმე გაზის ეტლს, რომელიც თავის თავად მიდის, თითქო რალაც სასწაულით. არა სჩანს არც ცხენი, არც ორთქლი, არც კვამლი და არც რამ მანქანა. აქვე ველოსიპედებით მისრიალებენ ქალნი და კაცნი. როგორ უნდა გაიგნოს კაცმა გზა ამოდენა ეტლებს შუა? როგორ უნდა გადავიდეს ეტლებით სავსე მოედნებსა და ქუჩებზედ? ეს მთელი ისტორიაა. ზოგჯერ ორი, სამი და მეტი წუთი უნდა იცადოს კაცმა, რომ შესაფერი დრო იპოვნოს და მეორე მხარეს გადავიდეს სირბილით. იმ ქუჩებზედ გავლას, რომელიც ქალაქის შუა ადგილშია, უფრო მეტი წვალება და ვაი-ვაგლახი უნდა. ქუჩების შუაში ფარნები სდგას, რომლის გარეშემოც პატარა მოედანია. მოედანს ჩამწკრივებული აქვს ბოძკინტები, სადაც კაცს შეუძლიან თავი შეაფაროს ეტლებისა და ცხენებისაგან და მარჯვე დრო მოიგდოს, რომ ქუჩის მეორე ნახევარიც გადაირბინოს.

განსაკუთრებულ ქალებს უჭირს ხოლმე ამ ქუჩებზედ გადასვლა. ზოგჯერ ქალების მთელი ჯარია ატუზული ფარნებთან შუა ქუჩაში, მისახვევ-მოსახვევსა და გადასასვლელებში. ასეთ დროს გაჩნდება ქუჩაში უზარმაზარი, აუღელვებელი პოლიციელი (ლონდონში ყოველი პოლიციელი ერთის წონისა და ერთის ტანისაა, რადგანაც პოლიციელებად ისეთ კაცებს იღებენ, რომელნიც ერთხელვე დადებულის წონისა და ტანისა არიან), თეთრ ხელთათმნიანს

ბილეთზედ აღნიშნავენ რიცხვსა და ნომერს მატარებლისას, ურომლისოდაც ბილეთს არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება.

⁂ 26 მარტს მკურნალმა ბ-ნმა გედევანიშვილმა წაუკითხა ლექცია ფიზიოლოგიის შესახებ „ტფილისის მასწავლებელ ქალთა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოების" წევრებს. ბ-ნი გედევანიშვილი რამდენსამე ლექციას კიდევ წაიკითხავს.

⁂ გუშინ წინ, 27 მარტს, აკურთხეს ახლად აშენებული ტფილისის რეალურ სასწავლებლის კარის ეკკლესია.

⁂ მეორე ნაწილის მცხოვრებელთა დეპუტატების არჩევანიც არ მოხდა 26 მარტს, რადგან ათასს ამომრჩეველ მოქალაქეთაგან მხოლოდ 10 კაცი დაესწრო არჩევანს.

⁂ ოთხშაბათს, 25 მარტს, წლიური აქტი მოხდა ტფილისის პირველ გიმნაზიაში. აქტს დაესწრო: მთავარმართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი და აუარებელი ხალხი. გიმნაზიაში წარსულ 189⁶/₇ წელს 792 მოსწავლე ყოფილა, ამათში 42% რუსი, 26,7% სომეხი, 17% ქართველი, 4% თათარი, 3% ებრაელი და 7% ნემენცი, ფრაგი და სხვა... წოდებით თავად-აზნაურობისა—553 კაცი, სასულიერო წოდებისა—16, საპატიო მოქალაქეთა—25, ქალაქის სხვა წოდებათა—181, გლეხთა 5 და დაბალ ჩარისხის მოხელეთა 7.

⁂ ტფილისის ფოტოგრაფიის მოყვარეთა საზოგადოებას წარსულ წელს 50 წევრი ჰყოლია. საზოგადოებას 1,469 მან. 10 კაპ. შემოსავალი ჰქონია და დაუხარჯავს 1,329 მან. 42 კაპ. ამ ჟამად საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარეობს თავ. ა. მ. ბაგრატიონ-მუხრანსკი.

⁂ 25 მარტიდგან დაწყებული მტკვარი თან და თან მატულობს. წყალს აუარებელი კუნძები, ხეები და ბოძები მოაქვს. 26 მარტს, ღამე რიყეზედ მცხოვრებნი დიდს შიშში იყვნენ. პოლიციამ დარაჯები დააყენა, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ მტკვარს და მომატების დროს რიყეზედ მცხოვრებელთ შეატყობინონ, რომ დროზედ გაიხიზნენ. ქალაქის ნავები, თოკები და სანათურები პოლიციის განკარგულებას გარდაეცა.

⁂ გაზ. „Нов. Вр." სწერს, რომ ამ ჟამად ბორჯომის სამკურნალო წყლებს რუსეთში გავრცელებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ბოთლები მეტად ცუდად არიან პირმოკრული და დაბეჭდილიო. ზევრჯელ ბოთლი ისეთ ნაირადაა პირ მოკრული, რომ კაცი იძულებულია ბოთლს თავი მოსტეხოს და ამ ნაირად შენახულს წყალს გაზი ერთიან ეკარგება.

⁂ გაზ. „Пет. В." სიტყვით, მეურნეობის სამინისტრო ჰგზავნის კავკასიაში ექსპერტის თანაშემწეს პოტებნიას ვაზის სენის გამოსაკვლევად.

⁂ ქ. სოხუმი. 20 მარტს, ღამე, ვიღაც ბოროტ-მომქმედთ გასტეხეს აჰანდარის ეკკლესია და წაიღეს სხვადა-სხვა საეკკლესიო ნივთები. რამდენიმე შესამოსი ეკკლესიის მახლობლადვე იპოვეს მეორე დღეს. გუდაუთის ნაწილის მცხოვრებლები შუამდგომლობენ საცაა ჯერ არს, რომ გუდაუთში ან ქსენონი იქმნას დაარსებული და ან განსაკუთრებული მკურნალი იქმნას დანიშნულიო. („ახ. მიმ.")

⁂ დ. ლანჩხუთი, (ოზურგეთის მაზრა). ყველანი შეგვაწუხა წრევანდელმა სასტიკმა ზამთარმა. მხოლოდ მარტში გველირსა კაი დარები. ტყე და ველი ნორჩ კოკრებით შეიმოსა, მაგრამ დაბაში ავადმყოფობამ-კი თავი იჩინა. ზოგი ანთებით არის ავად, ზოგი ჭვლით და სხვა. აფთიაქში იმოდენა ხალხი დადის, რომ დილით მოსული კაცი საღამოს თუ ეღირსება წამლის მიღებას. კარგი იქმნებოდა ლანჩხუთი და სხვა სოფლები შეერთებულიყვნენ და ერთად მოეწვიათ საკუთარი ექიმი.

⁂ სოფ. ქვალონი, (სამეგრელო). სწორედ გამოუთქმელ გაჭირვებაში ვართ ჩაცვივნულნი უვარგისის გზების გამო. ხალხი ძლიერ არის მოწადინებული გზები გააკეთოს, მაგრამ არ არის მოთავე, რომ საქმე დაიწყონ და ბოლო მოუღონ ამ უგზო უკვლოობას.

⁂ ქ. ბათუმი. რამდენისამე წლის წინად ლაპარაკი იყო აღძრული წიგნთ-საცავის დაარსების შესახებ. დიდის იმედით მოელოდნენ მუშები ამ აზრის განხორციელებას, მაგრამ არ ეღირსათ წიგნთ-საცავი. ამ ჟამად აქაურ ინტელიგენციას განზრახვა აქვს „ნოქართა დამხმარებელი საზოგადოება" დააარსოს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ წიგნთ-საცავის დაარსებისათვისაც რომ რამე იზრუნონ, ძალიან კარგი იქნება.

⁂ იმ ყულაბებიდგან, რომელიც ამიერ კავკასიისა და იმიერ კასპიის მხრის საქციზო გარდასახადის ცენტრალ და ოლქის სამმართველოში იყო დადგმული უსინათლოთა სამზრუნველოს სასარგებლოდ, ამოუღიათ და გარდაუციათ სამზრუნველოსათვის 1,263 მან. და 26 კაპ.

⁂ 17 მარტს მდ. იორში დაირჩო სოფ. პატარძეულის მცხოვრებელი ალექსი პავლიაშვილი.

⁂ 25 მარტს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მოხელეთ დაათვალიერეს იარმუკის დუქნები და აღმოაჩინეს 251 ფუთი წამხდარი თევზი და 2½ ფუთი ხიზილალა.

⁂ მადერის ქუჩაზედ მცხოვრებმა თავ. მ. ს. ვაჩნაძემ განაცხადა პოლიციაში, რომ 24 მარტს, დილის 10 საათზედ, გორის მაზრის მცხოვრებელი გაბო გაგიშვილი შემოიპარა ჩემს სადგომში და 80 მანეთად ღირებულის ხმლის მოპარვას აპირებდა, მაგრამ დროზედ მოვასწარით და პოლიციის შემწეობით შევიპყარითო. გაგიშვილი 26 მარტს სამართალში იქმნა მიცემული.

## დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება

(დასასრული *)

ექ. გაბაშვილი. მე კიდევ იმ გარემოებას მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ ჩვენს სოფლებში მკურნალობის საქმე სავალალო მდგომარეობაშია, რუსეთში-კი, იმ გუბერნიებში, სადაც ერობაა შემოღებული, ეს საქმე საუცხოოდ არის მოწყობილი და ამ გარემოებას ევროპამაც-კი ყურადღება მიაქცია; შემდეგ მან წაუკითხა რუსეთის ერთის ერობის ანგარიშიდგან ამოღებული ალაგები, საიდგანაცა სჩანს, რომ ერობის შემოღებამდე იმ გუბერნიაში ექიმები და ბებიები სულ რამდენიმე იყო, აგრეთვე სასწავლებლების რიცხვიც სულ მცირედ იყო, ერობის შემოღების შემდეგ-კი ექიმებისა და ბებიების რიცხვმა 50—60 იმატაო. იქ, სადაც ასობითაც არ ითვლებოდა მოსწავლეთა რიცხვი ერობის შემოღებამდე, შემდეგ, როცა ერობა შემოიღეს, მოსწავლეთა რიცხვი საერობო სკოლებში ათასობით ითვლებაო. გზების გაყვანა, ხიდების გაკეთება და სხვა ამგვარი სასარგებლო საქმეები კიდევ სხვააო...

ზ. ს. გედევანიშვილი. რა თქმა უნდა, რომ ჩვენ უგზოობაც გვაწუხებს და უხიდობაც, მეტადრე ბულაჩაურელებს და ერთობ არაგვის ნაპირებზედ მცხოვრებთ.

გ. შ. ზანდუკელი: თუ ერობა შემოიღეს, მაშინ ბულაჩაურელებს უთუოდ ოქროს ხიდს აგიშენებენ არაგვზედ. (წინამძღოლს) სხვაც ბევრია ჩვენში ერობის შემოღების წინააღმდეგი და ამბობენ, რომ ჩვენთვის ეს ჯერ ადრეაო.

წინამძღოლი. შეიძლება იყვნენ წინააღმდეგნი, მაგრამ ეს-კი ვიცი, რომ მომხრე უფრო ბევრია.

გ. შ. ზანდუკელი. რომელ ხალხშიაც მე ვარ, ისინი სულ წინააღმდეგნი არიან ერობისა.

წინამძღოლი. რომელშიაც მე ვარ, ისინი-კი სულ მომხრეები არიან...

ზ. ს. გედევანიშვილი. მიკვირს, რად ამბობენ იმას, რომ ერობის შემოღება ჩვენში ადრეაო. თუ კი ამ დაწესებულების შემოღება 37 წლის წინად რუსეთისათვის ადრე არ იყო და იქ მისი შემოღება შესაძლოდ სცნეს, ჩვენ რაღა დაგვმართებია, რომ ამავე დაწესებულების შემოღება 37—38 წლის შემდეგაც ჩვენში კიდევ ადრეა. ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში იმოდენად მაინც ვეღარ წავედით წინ, რამდენადაც რუსეთის მცხოვრებლები 1860 წლებში იყვნენ? ვერაფერი საქმე იქნება, რომ ჩვენ ეხლა ისეთი განაჩენი დავადგინოთ,—არ შევიძლიან შევიშვნიოთ ისეთი დაწესებულება, რომელიც სასარგებლოა, თვით მთავრობამაც იგი სასარგებლოდ სცნო რუსეთისათვის და შემოიღო კიდეც იქა და რომელმაც რუსეთში მრავალი სარგებლობა მოუტანა მკვიდრთაცა და მთავრობასაც. ჩვენში ერობის შემოღება ადრეაო, ამის თქმას არც ერთი ჩვენი კეთილის-მყოფელი არ იკისრებს, თუ ესმის, რომ ყოველი კეთილი, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ყველა, ადრეული-კი არ შეიძლება იყოს, ხოლო დაგვიანებული-კი ხშირადაა ხოლმე...

ა. მ. კობიაშვილი. ერობის შემოღება სასურველია, მაგრამ ისიც-კი საფიქრებელია, გვეყოლება მაგ საე-

*) იხ. „ივერია" № 65.

---

ხელს აიშვერს და თვალის დახამხამებაზე ქუჩაში ყველაფერი მიწყნარდება, ვიდრე ატუზული ქალები მეორე მხარეს არ გადავლენ. მეეტლეს არ შეუძლიან ეტლი დასძრას, გინდაც რომ შიგ მინისტრი ან რომელიმე პრინცესა იჯდეს, ვიდრე „ბობი" *) ხელახლა არ ანიშნებს გაიარეთო. ზოგიერთ ქუჩის იმ ადგილებში, სადაც უფრო დიდი მოძრაობაა, სამი ან ოთხი პოლიციელი დგას, რომელნიც მხოლოდ ამ საქმეს უნდებიან. ეტლებს აჩერებენ და ქუჩის ერთის მხრიდგან მეორეზედ ქალები და კაცები გადაჰყავთ. სწორედ გასაკვირველია, რომ ქალაქში, სადაც ასეთი მოძრაობაა, უბედურება ძალიან იშვიათია, თითქმის არ არის ხოლმე. ნება-უნებურად იფიქრებს კაცი, რომ ლონდონის სინოტივე, სიცივე და ჯანდი ადინჯებს და ამშვიდებს როგორც კაცებს ისე ცხოველებს. მეეტლე თავის მაღალს საჯდომზედ ქვასავით გაშეშებული ზის; ცხენები, რომლის მსგავსი არსად არ შემხვედრია, მეტად წყნარი და გამგონნი რამ არიან. მათ არაოდეს არა სცემენ, არც-კი უჯავრდებიან. მეეტლე მხოლოდ წყნარად შესძახებს და ისინიც ან უცბად გაშეშდებიან, ან მწყობრად და თანაბრად გაქანდებიან. ცხენი აქ კაცთან ერთად იზრდება, მათრახითა და ჯოხით არა სცემენ და ისიც, როგორც აქაური ძაღლი და კატა, ქუჩაში გამვლელს მეგობრულად ექცევა და მეგობრულის თვალით უყურებს.

რამდენჯერ შემხვედრია ქუჩაში კატა, მივსულვარ, ხელი მომიცაცუნებია და ის არამც თუ არ გაქცეულა, არამედ უფრო მომლაქუცებია და სიამოვნებისა და მეგობრობის ნიშნად თვალები მოუხუჭნია და ღრუტუნი დაუწყია.

ასე ჰყავთ პირუტყვი გაწრთვნილი. მაგრამ ერთი ათად და ოცად უფრო გაწრთვნილი და ზრდილია აქაური კაცი. სიდინჯე, თავის დაჭერა, დარბაისლობა უმთავრეს თვისებას შეადგენს ინგლისელის ხასიათისას. ტკენისა და დაშავების დროს ტირილი და ყვირილი პატარა ბავშვებსაც-კი სასტიკად აქვთ აღკრძალული. ერთ ჩემს კარგს მეგობარ ფრანგს ჰყავდა ერთად-ერთი ექვსის წლის ქალიშვილი, რომელიც იმდენად განებივრებული და გასათუთებული იყო, რომ სულ-უბრალო რამეზედ გაუთავებელს ღრიალსა და ტირილს მოჰყვებოდა ხოლმე. ეს ბავშვი ინგლისის სკოლაში მიაბარეს. როდესაც ორის თუ სამის კვირის შემდეგ ბავშვი შინ დაბრუნდა, დედას ფეხი უჩვენა, რომელიც თამაშობის დროს დაჰშავებოდა. დედა, ფრანგის ქალი, ამის დანახვაზედ ერთს ვაი-უშველებელსა და ყვირილს მოჰყვა. ბავშვმა გაუბედავის, ცრემლიანის თვალით შეჰხედა დედას და უთხრა: „დედა, გოგოები სკოლაში ამბობენ, რომ დაშავების დროს ტირილი სირცხვილია, ვინცა სტირის სულელიაო!" აი ასეთები და ასე აღზრდილნი არიან ინგლისის სულ პატარა ექვსისა და შვიდის წლის ბავშვები, ხოლო მოზრდილებზედ თორმეტისა და მეტის წლისაზედ ხომ რაღა სთქვას კაცმა.

(შემდეგი იქნება)

*) „ბობი"—რობერტის საალერსო სახელია. პოლიცია ლონდონში პირველად დააარსა რობერტ პილმა და ხალხი პოლიციელს „ბობი"-ს ეძახის.

---

## რა ვუყოთ ფულს?

აი კითხვა, რომელსაც ხშირად აძლევს თავისს თავს შუათანა შეძლების კაცი ამერიკაში და აქ. ხელში იმდენი ფული აქვთ კერძო კაცებს, რომ ნიუ-იორკის ბანკები არამც თუ არაფერ სარგებელს არ იძლევიან უვადო და მოკლე ვადით შეტანილ ფულზედ, არამედ ხშირად სრულიად არ იღებენ ფულს. რაღა ამერიკა, აქაც კი 2% საუკეთესო მოგებად ითვლება. რკინის გზის საქმეში 4% სამაგალითო დივიდენდია. ლონდონში რომ კაცმა გვარიანად იცხოვროს (რასაკვირველია, ინგლისურებ) შემოსავალი 500—800 გირვანქა სტერლინგი (სტერლინგი—10 მანეთია) უნდა ჰქონდეს, მაშასადამე საჭიროა 125-დგან 200 ათას მანეთის თანხა ჰქონდეს და ისიც ძალიან კარგ ადგილას მოთავსებული! ამას-კი ბევრი ვერ ახერხებს, ამიტომ მრავალი გაფაციცებით დაეძებს რას მოახმაროს თავისი ფული.

დაუჯერებელია თითქმის ის, თუ რამდენად დიდია ამ თავისუფალის თანხის რაოდენობა. ერთმა ჩაით მოვაჭრე ფირმამ, რომელსაც კარგი სახელი ჰქონდა გავარდნილი, გამოაცხადა, რომ აზრადა მაქვს ვაჭრობა გავაფართოვო და საქმე სააქციონერო ნიადაგზე დავაყენოო, რომლის თანხაც 10 მილიონი უნდა შეადგენდესო. ხელის მოწერის დღეს, პირველმა ფოსტამ 15 ათასის კაცისაგან მოიტანა წერილი, რომელთაც აქციების შეძენის სურვილი განაცხადეს და 300 მილიონი მანეთი წარადგინეს!

წარმოიდგინეთ, მკითხველო, კერძო კაცსა და ასეთი ნდობა! სულ კი ფულის ბრალია, გამოსწოწნეს ხალხს ქვეყნის ყველა კუთხეში ფული, მიეჩვივნენ ზღვის გადაღმა ბაზრის ძებნას და ამ ბაზარზედ თავიანთის ფულის ერთი ათად და ოცად გამრავლებას. მაგრამ ამ ბოლოს დროს ინგლისელებს ბედმა უმტყუნათ: მათ მაგალითს ამერიკელებმა, ნემცებმა, რუსებმა, ფრანგებმაც მიჰყვეს ხელი, ბევრი ბაზარი ძალის-ძალად დაისაკუთრეს და ვაჭრობის მოედანზედ დღემდის გაბატონებულ ინგლისელს ცოტა არ იყოს ფრთები შეუკვეცეს. ამ ჟამად ერთა შორის საშინელი ბრძოლაა ბაზრის შეძენის გამო. საიდუმლოდ, მალულად სახელმწიფონი ერთმანეთს ძირს უთხრიან და უსაჭიროესს-კი ვერ მიხვედრილან: ყურადღება მიაქციონ შინაურ ბაზარს და განავითარონ, განაძლიერონ თავიანთის სახელმწიფოს წარმოება და მომხმარებლობა. დღეში, რომ მარტო 10 კაპეიკით მეტი დახარჯოს თითო სულმა, ჯერ მაშინაც-კი წელიწადში 1½ მილიარდით იმატებს ხარჯიცა და მაშასადამე მრეწველობაც, ხოლო აქაურს მცხოვრებელს, 10 კაპეიკსა კი-არა, 50 კაპეიკის ხარჯის მომატებაც ესაჭიროება.

მაშინ აღარც ომი იქნებოდა საჭირო და აღარც ვინმეს გაღარიბება და გაღატაკება. როდის გაიგებს ხალხი ამ უბრალო ჭეშმარიტებას?

საქმეთა ვითარება თავისას მოიტანს. ადრე თუ გვიან გონიერება უჩვენებს კაცს გზას, როგორ უნდა დააღწიოს თავი ამ გაჭირვებულ მდგომარეობას.

ვ. მარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობო საქმის ამასრულებელი კაცები, თუ არა, ან შევიძლებთ-კი, რომ ერობის შემოღება საკეთილოდ გამოვიყენოთ.

ექ. გაბაშვილი. მე-კი ჩემის მხრივ აქ დამსწრეთაგანს ერთსაც ვერ დავადებ ხელსა და ვერ ვიტყვი, ერობის სამსახურს ვერ შესძლებს და სარგებლობას ვერ მოუტანს-მეთქი.

წინამძღოლი. თუ-კი მართლა შინ ვერ ვიშოვით ამ საქმისათვის საჭირო კაცებს, სხვაგან ხომ ვიშოვით, დავიქირაოთ.

გ. ო. ზანდუკელი. დავიქირაოთ და ისევ ის იქნება, რაც ეხლაა.

წინამძღოლი. თუ ნაქირავები არ ივარგებს, შეიძლება მისი დათხოვნა და სხვისის უკეთესის შოვნა, მაშინ ეს ხომ ჩვენს ხელთ იქნება. აბა ეხლა დაითხოვეთ, ან დაუწუნე მოქმედება, რომელსამე მოხელეს, ან-კი როგორ უნდა უსაყვედურო ეხლა, მაგალითად, პოლიციას, ესა თუ ის საქმე რიგიანად ან დროზე ვერ შეასრულეო, როცა თითონვე ვიცით, რომ თავისი საკუთარი საპოლიციო საქმის გარდა საერობო და კიდევ სხვა ბევრის საქმით დატვირთულია პოლიცია. როცა საერობო ნაწილი ჩამოეცლება, მაშინ-კი ჩვენც თამამად შევიძლიან მოვთხოვოთ პოლიციას ყველა საქმის წესიერად და დროზე შესრულებაც და ქურდ-ავაზაკების დევნაც, რომელთაგანაც ასეა შეწუხებული ხალხი.

ი. ქ. ზანდუკელი. ამ შემთხვევაში დამაბრკოლებელ მიზეზად არც გამიჯვნისა და არც ხიზნების საქმის გაუთავებლობა მოსატანი არაა, როცა საერობო გარდასახადს ხაზინაც, საუფლისწულო უწყება და კერძო კაცნიც თანასწორედ იხდიან, ჩემის ფიქრით, უსაფუძვლოა ის შიშიც, რომ მთავრობა ამა თუ იმ საქმისათვის, როცა საშუალება არ გვექნება, ძალას დაგვატანს გავაკეთოთ და გვაიძულებს ამისთვის ხარჯი მოვიმატოთ.

გ. ო. ზანდუკელი. ძალასაც დაგვატანენ და მეტსაც გვიზამენ.

ექ. გაბაშვილი: საქალაქო თვით-მმართველობა რახანია არსებობს, მაგრამ ამ გვარს მაგალითს ვერსადა ვხედავთ. (ქალაქის მოურავს მ. გ. კობიაშვილს). განა ძალით ვინმე რასმე გაკეთებინებთ?

მ. გ. კობიაშვილი: არა, ამ გვარი მაგალითი არა ყოფილა.

გ. ო. ზანდუკელი. ეგენი არც ძალით აკეთებენ რასმე და არც ნებით, კიდეც იმისთვისაა დუშეთი ტალახში ჩაფლული...

ექ. გაბაშვილი. საჭიროს ვერც ეხლა გავურბივართ სადმე და ვერც შემდეგ გავექცევით, საქმე ის არის, რომ ამ საჭიროების გაძღოლა-დაკმაყოფილებისთვის მაშინ უფლებაც საკმარისი გვექნება ხელთ და ღონისძიებაცა.

წინამძღოლი. აქ ბრძანებისა და ძალის დატანების შიშს ადგილი არა აქვს, საერობო თვით-მმართველობაში ყველა საქმე თანხმობითა და ხმის უმეტესობითა კეთდება და არა ვისიმე ბძანებით. ამ შემთხვევაში საქმის პატრონებიცა და, თუ ბრძანება იქნება, მბრძანებლებიც ჩვენ თითონ ვიქნებით. აქა სთქვეს, ჯერ მოვიცადოთ, ხიზნებისა და გამიჯვნის საქმე გათავდეს და მერე ვიშუამდგომლოთო. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საქმე ჩვენში ჯერ კიდევ 1861 წელს იყო აღძრული, მაგრამ ჯერ ერთი ბიჯითაც არ წაწეულა წინა.

შემდეგ კრებამ ერთ-ხმად დაადგინა, რომ ჩვენში ერობის შემოღება სასარგებლოდ მისაჩნევია და აღიძრას ამის შესახებ შუამდგომლობაო.

დ. ხ.

## წერილი კახეთიდგან

ამ ერთის თვის განმავლობაში გაღმა მხარში, ყვარელის საბოქაულოში, სამი მკვლელობა მოხდა: პირველი სოფელ შილდაში, მეორე სოფ. ყვარელში და მესამე სოფ. ფშაველში. რადგან ამ სამივე ბოროტ-მოქმედებას თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, ამიტომ მეც ცალ-ცალკე გიამბობთ იმათ ავან-ჩავანს.

კარგად ვიცით, რომ უმიზეზოდ არაფერი არა ხდება ქვეყანაზედ. ყოველ მკვლელობას, ყოველ ბოროტ-მოქმედებას თავისი მიზეზები აქვს. სოფ. შილდაში მომხდარ მკვლელობის მიზეზად ასახელებენ პირველად დედაკაცის ღალატს და მეორედ სხვის მამულ-დედულის დასაკუთრებისათვის აშლილს მადას! საქმე ასე ყოფილა: ერთი ხელ-მარტო ახალგაზდა, რიგიანი მამულ-დედულის პატრონი, თურმე ქვისლთანა სცხოვრობდა, ყველაფერში ერთობა ჰქონდათ. გასწყრომია ღმერთი და პირველ ქვისლის თავის ცოლის და, ამ ბიჭის ცოლი, შეუყვარებია. ეს სიყვარული აშკარად გამხდარა, ქვეყანაზედ გაფენილა. ბევრი უღონიათ ქმარსაც და მის კეთილის მყოფელთაც, მაგრამ შეყვარულები ვერა გზით ვერ დაუშორებიათ ერთ მანეთისათვის. ამის შემდეგ ამდგარა უმცროსი ქვისლი და სრულიად მორიდებია იმ ოჯახს, ათასში ერთხელ თუ როგორმე მივიდოდა იმ არე-მარეში, თორემ სულ განზედ იყო, ეშინოდა არაფერი მიეშმაკონ, არ მომწამლონო, თორემ პირდაპირ და ხელდახელ ვერაფერს დამაკლებენო! ამ ბოლო ხანებში-კი შეერიგებინათ ქვისლთანაცა და ცოლთანაც. აღები-ღამეს მაინც სახლში არ დამდგარიყო, მეზობლისას, ერთ-მოხუცებულ დედაკაცთან, გსულიყო თავის „საღებო“ მასალით. მისდა საუბედუროდ, ის მოხუცებულიც სხვას მიეპატიჟებინა. დარჩენილიყო მარტო. თქმა არ უნდა, დაღონდებოდა, ამდგარა, არც ვახშამი უჭამია, გამოსულა გარედ, მიუვლ-მოუვლია, შესულა თავისს სახლში და ლოგინში დაწოლილა. როცა ღრმა ძილში შესულა, ამდგარა მისი ქვისლი, აუღია ცული და ყუით შემოუკრავს საფეთქელში და რომ ვერ დაუმოთჩილებია, მერე პირით გაუპია თავის ქალა. მკვდარი გაუტანია, ჯერ საბძელში ჩაუფლავს, მერე ერთის თუ ორის კვირის შემდეგ ვენახში გაუტანია და სარების ქვეშ დაუმარხავს, მერე როგორ მოხერხებულად! ამოუთხრია მიწა, ერთ არშინზედ ჩაუფლავს გვამი, ზედ ქვა წაურიგებია და მერე მიწა მიუყრია. სახლის ეზოში საბოძები ამოუთხრია, მოკლულის ტანისამოსი ჩაუფლავს და ზედ ბოძები დაურიგებია. როცა ყველაფერი დაუგულებია და უფიქრია: ახლა ვეღარაფერს იპოვნიანო, მოკლულის ცოლი წასულა და მოხელეებისათვის გამოუცხადებია—ჩემი ქმარი დაიკარგაო! თითონ-კი ლოგინში პერანგა მჯდარა იმ დროს, როცა იმისს ქმარს ცულითა სჩეხავდნენ!

დიდი შრომა დასჭირდა ყვარელის ბოქაულს ბ-ნ გომელაურს ამ მკვლელობის აღმოსაჩენად. მთელი თავისი გამოცდილება და გამჭრიახობა ზედ შეალია, მთელი ერთი კვირა იძია და ბოლოს, თუ მკვლელის ცოლი არ გამოეტეხა, იქნება ამ ბოროტ-მოქმედებას უკვალოდაც ჩაევლო, ისე ყოფილა დაფარული. არც არავინ მნახველი, არც არავინ გამგონი, შინაური და მეზობელი ყველა უარზედ იყო, მოდი და მიაგენი დაკარგულს!

როცა საქმე ცხადი გახდა, მაშინ ყველამ ეჭვი შეიტანა, რომ ეს დევივით ვაჟკაცი მარტოკამ თუ მოკლა, ამდენის სამარის გაჭრა და მკვდრის ტარება როგორღა შესძლო უამხანაგოდაო? ამის პასუხად მკვლელმა განაცხადა თურმე, რომ მას ამხანაგად ჰყავდა თავისავე სოფლის კაცი, რომელსაც მოკლულის მამულის დასაკუთრება ენატრებოდა და ბევრსაცა დაიდარაბობდნენ ერთმანეთთანაო. თუმცა ეს უკანასკნელი დიდს უარზედ დამდგარა თურმე, მაგრამ საქმის გარემოება ეჭვს გარეშე ჰყოფს. მკვლელსაც უთქვამს, რომ იმ კაცის ცოდვა იმისმა ცოლმა და ამ კაცმა დამადებინესო.

—

მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლო დროს მოსულმა დიდმა თოვლმა ხალხი, განსაკუთრებით საქონლის პატრონი, ძალიან დაალონა. ხალხი, რომ საქონელი შიმშილით არ დახოცოდა და ამით პირში ლუკმა არ გასწყვეტოდა, მიდგა-მოდგა საკვების საშოვნელად. ნათქვამია: გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. ამ გვარ გაჭირვებაში ადამიანი, თქმა არ უნდა, ბევრს იმისთანას რასმე ჩაიდენს, რომ ამ ჩანადინარისას ბოლოს ანგარიშსაც ვეღარ მისცემს თავისს თავს. გაჭირვება დიდი ძალაა, რომელიც ადამიანის არსებას ვინ იცის რას არ აქნევინებს და არ ათქმევინებს! და აი, ეს წუთი გაჭირვებისა კარგა შეგნებული უნდა ჰქონდეს, თუ უცოდინარს არა, იმას მაინც, რომელსაც ხალხში დიდი ხმა და ავტორიტეტი აქვს, რომ გაჭირვებული ადამიანი უარესს დღეში აღარ ჩააგდოს და ჭირზედ ჭირი არ დაამატოს!

სოფ. ყვარელში ორ სახლიკაცს, რომლებიც ამ ცოტა ხანში გაყრილან, სადღაც მინდორში თუ ვენახში საზიარო თივა ჰქონიათ. წაუღიათ ურმები, დაუდვიათ თივა და წამოუღიათ. პირველ ურემს რომ ამოუვლია, წინ დახვედრიან ადგილობრივ მძლავრის მებატონის ბიჭები, წაურთმევიათ თივით დატვირთული ურემი და ბატონის ეზოში ჩაუგორებიათ. მოდის მეორე ურემიც. ამასაც დახვდნენ ბატონის ბიჭები. თივის პატრონი ეტყვის: თქვენი არაფერი მმართებს, თავი დამანებეთ და თუ მმართებს, გარდავიხდი, ახლა-კი საქონელს შიმშილით ნუ ამომიწყვეტავთო, თქვენ ღმერთს შეჰხედეთო! ბატონის ბძანებით ბიჭები თავისას არ დაიშლიან და ერთი უფრო თამამი ამათ შორის ხანჯლით გაქანდება მეურმისაკენ. მეურმეც, რომ ხათაბალა აიცილოს, სახრეს მოუქნევს მკლავში იარაღის გასაგდებინებლად. სახრე საფეთქელში მოხვდება და ბატონის ბიჭი იქვე სულს განუტევებს!

—

ვიცით აგრეთვე, რომ დუქანს სოფლად, მეტადრე სასმლისას, ვნების მეტი არაფერი არ მოაქვს, ვნება ორნაირი, ორმხრივი, ჯერ ქონებრივი და მერე სულიერი, ზნეობრივი, რომელიც ყოველ სიღარიბეს აღემატება. სოფლის დუქანს ყოველთვისა ჰყავს მიჩვეული რამდენიმე სოფლელი, რომლებიც ლოთობის მეტს იქ არაფერს არ აკეთებენ და ეს ლოთობა, სულისა და გონების თავის ბუდიდგან დაძვრა, თუ შეიძლება ასე თქმა, ხომ თავი და თავი მიზეზია ყოველგვარის ბოროტებისა. ამ გვარის ხალხის გასასწორებლად და შესამცირებლად ბევრ ღონესა ჰხმარობს მთავრობა, თუ საზოგადოება, მაგრამ მათი გამასწორებელი, მგონია, სამარის მეტი არა იყოს-რა, თუ ისინი ბავშვობითვე არ ჩავარდნენ კეთილად აღმზრდელ და გამწვრთნელ გარემოებებში.

სოფ. ფშავლის დუქნებსაც არ აკლია ამ გვარი ლოთთა „პატრია“. ისინი ჯერ საქმის დღესაც, თორემ უქმე დღეს ხომ არ აცილებენ, რომ დუქანში არ გადაჰკრან და აურ-ზაური არავის აუტეხონ. ამ თვის 8-საც ერთ შექეიფიანებულს ამ ვაჟბატონთაგანს ჩხუბი აუტეხია დუქანში მყოფთათვის, უშიშვლია ხანჯალი და დარევია. ამ შფოთზედ მივარდნილა ამავე სოფლის ნაცვალი, სიცოცხლით სავსე ახალგაზდა და ფრიად პატიოსანი სოფლის მოხელე, და სცდილა, როგორმე დაემშვიდებინა შფოთის ამშლელი, გაუყვანია გარეთ და დაუწყია მგლის თავზედ სახარების კითხვა. ამ დამშვიდებისა და დარიგების დროს უძლვრია ხანჯალი შფოთის ამტეხს და სრულიად უდანაშაულო კაცი, ნაცვალი-კი გამოუსალმებია წუთი-სოფლისათვის!

ფშაველიშვილი

## როგორ მდგომარეობაშია დღეს გურიის ამხანაგობა „შუამავალი?“

როგორც საფრანგეთში დღეს ზოლას საქმის გარჩევაა სალაპარაკო, ისე ეხლა გურიაში ამხანაგობის ეხლანდელი მდგომარეობაა. მკითხველებს უთუოდ მოეხსენებათ გაზეთებიდგან, რომ 13 თებერვალს კრება მოხდა ქ. ოზურგეთში გურიის ამხანაგობის „შუამავალის“. კრებაზე წაკითხულ იქმნა ის სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელმაც დამსწრე საზოგადოება დიდად ააღელვა და განაცვიფრა. წესდების თანხმათ აირჩიეს 50 წარმომადგენელი, რომლებსაც უნდა მოეხდინა წარმომადგენელთა კრება და ამავე კრებას უნდა აერჩია ახალი გამგეობა. მართლაც პირველ მარტს მოხდა წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც დიდის პარტიობის შემდეგ არჩეულ იქმნა გამგეთ ს. ასკანის მამასახლისი ბ-ნი სოლომონ ჭეიშვილი. მაგრამ ლანჩხუთლები არ სჯერდებიან ამას და თხოულობენ, ჩვენი ქონება მოგვეცეს ჩვენ, რომ ცალკე ვიმოქმედოთ, რადგანაც ოზურგეთლებმა არ დაგვდეს პატივი და არც ერთ ჩვენ თხოვნას ყურადღება არ მიაქციესო. ერთის მხრით ლანჩხუთლების საყვედური ოზურგეთლების მიმართ საგულისხმიეროა. ყველამ კარგათ ვიცით, რომ მომეტებული წევრები ამხანაგობას ლანჩხუთიდგან ჰყავს, წარმოების უპირველესი დარგი იქ არის და ხალხიც უფრო სიყვარულით ეკიდება. დღეს როცა წარმომადგენლები იქმნა არჩეული, 50 კაცში მხოლოდ რვა კაცია ლანჩხუთელი და დანარჩენი 42 ოზურგეთელი, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყოველივე საგანს ისე გარდასტყვეტენ, როგორც მათთვის ემჯობინება. ამ გვარად საქმე ისევ ძალ-მომრეობაზე დარჩა და უფრო ძლიერი მხარე, მაგრამ ამ შემთხვევაში მცირე და უღონო დაიჩაგრა. სხვა რომ არა ყოფილიყო, ესეც საკმარისი იყო ლანჩხუთლებს ეფიქრათ, საქმე წამხდარია, ხელიდგან გვეცლებაო, მაგრამ მარტო ესეც არ დაურჩათ სათქმელად. ამას ზედ დაემატა ისიც, რომ ლანჩხუთლების წამოყენებული კაცი გამგედ გაშავებულ იქმნა და ამითი ოზურგეთლებმა ლანჩხუთელები ერთი ორად ჩააფიქრეს. ამავე კრებაზედ ლანჩხუთელებმა აშკარად დაინახეს ოზურგეთლებთან მოქმედობით ჩვენ ვერას გავაწყობთ და ისევ გამოვეყოთ უმჯობესიაო. რა თქმა უნდა, ამ გვარი ინტრიგობა და განზე გადგომა საქმეს ხელს შეუშლის და დააბრკოლებს, მაგრამ ბრბო რა-კი ერთხელ რაიმეს მოინდომებს, თუნდა საზარალო იყოს, მაინც თავისას გაიყვანს. ვინ არ იცის დღეს, რომ ჩვენში შეერთებულის ძალით მოქმედებაა საჭირო და არა ერთმეორეს დაშორება, როგორც ლანჩხუთლები გაიძახიან. ნებით გამოგვიყონ ჩვენი ქონება ოზურგეთელებმა, თორემ სულ ერთია, ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზამთ და ეგ, ვგონებთ, არც ოზურგეთლებისთვის უნდა იყოს სასიამოვნოვო. შეიკრიბნენ ერთად და ძველს გამგეს კ. თავართქილაძეს მიმართეს თხოვნით, ჩვენი ხვედრი ქონება არ ჩააბარო ახლად არჩეულ გამგეს, თორემ იძულებული ვიქნებით თუ სამართლით არა, ძალ-მომრეობით პასუხი გაგებინოთო. დღეს მთელი ლანჩხუთის მცხოვრებლები ფეხზე დგანან და გაიძახიან: „ოზურგეთლებს თუ უნდათ ჩვენთან ყოფნა, გაუქმდეს 13 თებერვლის და პირველ მარტის კრების გარდაწყვეტილება. დაინიშნოს ახალი საზოგადო წევრთა კრება ლანჩხუთში და მხოლოდ მაშინდელ გარდაწყვეტილებას დავეთანხმებით, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენის (ლანჩხუთლების) და ოზურგეთლების მორიგება შეუძლებელი არისო.

დღეს ბ-ნ ჭეიშვილს განზრახვა აქვს მოკლე დროში მოახდინოს ლანჩხუთში წარმომადგენელთა კრება და ამ კრებაზე დააკმაყოფილონ ლანჩხუთლების უმთავრესი თხოვნები. იმედია, რომ ბ-ნი ჭეიშვილი ყოველივე ღონეს იღონებს ერთის მეორესთან შეთანხმება მოახდინოს და მით ეს საქმე სასურველად დააყენოს.

ი. გურული

# რუსეთი

—

მომავალ მაისს ქ. პეტერბურგში გამართულ იქმნება მთელის რუსეთის ასტრონომთა კრება.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ახალი ჯილდოები ღვინის იმ მწარმოებელთა დასაჯილდოებლად, რომელნიც საუკეთესო ღირსების ღვინოს დაამზადებენ მთლად რუსეთის იმპერიაში.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გარდასწყვიტა დააარსოს განსაკუთრებული თანხა, საიდგანაც დახმარება უნდა აღმოეჩინოთ და სესხი მიეცეთ იმათ, რომელნიც თევზის მოვლა-მოშენებასა და წარმოებას მისდევენ რუსეთში თევზეულობის წარმოების საქმის განსაუკეთესებლად.

— განზრახვა აქვთ ყოველ სასულიერო სასწავლებელთან განსაკუთრებული წიგნთ-საცავები დააარსონ. ამ წიგნთ-საცავებიდგან წიგნებით უნდა ისარგებლონ სოფლის მღვდლებმა.

— განზრახვა აქვთ პეტერბურგის გუბერნიაში პირველი დედათა საბაღოსნო და საბოსტნე სასწავლებელი დააარსონ.

— ამ ჟამად საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ ქალაქის სასწავლებლების იმ მასწავლებელთ, რომელნიც საპედაგოგიო საბჭოს მდივნისა და სასწავლებლის წიგნთ-საცავის გამგის თანამდებობას ასრულებენ და განსაკუთრებულ ჯამაგირებს იღებენ, ჯამაგირებიდგან უნდა გამოერიცხოთ ხოლმე კანონით დადგენილი ფული საპენსიო თანხისათვისაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟის გაზეთებში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი. ერთი სახელოვანი ფრანგი არტისტი და მომღერალი ქალი ამერიკიდგან ევროპაში მოდიოდა გერმანელების გემით. ერთ დღეს საღამოს შემთხვევით თვალი მოჰკრა კონცერტის პროგრამმას, რომელშიაც სხვათა შორის ეწერა: „სადღესასწაულო მარში 1870 წლისა“.

— დარწმუნებული ვარ, უთხრა მომღერალმა ქალმა მეორე ფრანგ ქალს, რომ განგებ ჩვენ საწყინოდ უნდათ დაუკრან ეგ მარში, მაგრამ მე მამულიშვილი ვარ და გერმანულ მარშს რომ დაუკრავენ, არ შემიძლიან წინააღმდეგობა არ განვაცხადო. აი, ნახავთ!

ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა გემის უფროსმა და ჩუმად ბრძანება გასცა. სწორედ იმ დროს, როცა გერმანული მარში უნდა დაეკრათ, წამოდგა მომღერალი ფრანგი ქალი და წინააღმდეგობა უნდა განეცხადებინა, მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი გაოცება, როდესაც გერმანულ მარშის მაგივრად ორკესტრმა ფრანგულ საერო მარში „მარსელიეზა“ დაუკრა და აფიცრები და გემზე მყოფნი-კი ალერსიანის ღიმილით უყურებდნენ.

## რომელი გეოგრაფიული სიტყვა სჯობია?

ამ სათაურით დაიბეჭდა წელს გაზეთ „ივერიაში“ სამი მცირე შენიშვნა: ბ-ნ ძმუისელისა, ბლაღოჩინის-მღვდლის მ. ზაქარია დავითაშვილისა და ი—ლი ღლონტისა. ყველანი შეეხებიან იმას, თუ რუსული სიტყვა „водопадъ“-ი როგორ უნდა ვიხმაროთ ქართულადაო. ბ-ნი ძმუისელი ამბობს, რომ ს. ძმუისში მდ. ლეხიდარი გადმოდის სამ ადგილას კლდეზედ და სამივეს უწოდებენ მეჩხერსაო და ამიტომ შემოვიღოთ სიტყვა „მეჩხერი“-ო. მამა დავითაშვილი ამბობს: „უკეთესი იქნება ვიხმაროთ ჩახრიალაო, ქართლში გამიგონიაო, და „ჩაბარუხი“ მთიულეთშიო; ბ-ნი ი—ლი ღლონტი ამჯობინებს სიტყვას: „ჩაქუხა“. სამივეს მოვახსენებ, რომ ეს ზემო მოყვანილი სიტყვები ადგილობრივი სახელწოდებაა, პროვინციალიზმები და არა საზოგადოდ მისაღები. „მეჩხერი“ ჰნიშნავს არა ხშირს, შორი-შორს მყოფ საგანს და რადგანაც წყალი კლდიდგან გადადენის დროს იფანტება, წყლის ნაწილები ერთმანეთს შორდება და ისე ეცემა ძირს, ამიტომ ოკრიბლებს (მდ. ლეხიდარი ჩაუდის ოკრიბის რამდენსამე სოფლებს) უწოდებიათ მეჩხერად, ხოლო ქვემო იმერეთში მეჩხერს ეძახიან სიმინდის ისეთს ყანას, რომელიც გათოხნის დროს ძლიერ გაჭრილია, ისეთს ტყეს, რომელშიაც ხეები აქა იქ არის ამოსული, ან გაკაფულია; თვით ოკრიბაში მეჩხერს ეძახიან სოფელსაც. მ. ზაქარია დავითაშვილი ჰკითხულობს: „მაშ რაღას უნდა ჰნიშნავდეს: „შქერი, საჩხერე და ჩხერიმელაო“? მოვახსენებთ: „შქერი“ არის მცენარე (рододендронъ, альпійская роза), იმერეთში მეტად ბევრია მთიანს ადგილებში; „საჩხერე“ არის დაბა ზემო იმერეთში; „ჩხრემილა“ არის მდინარე ზემო იმერეთშივე. ეს სიტყვები რისთვის მოუყვანია მამა დავითაშვილს თავისს შენიშვნაში, ვერ გაგვიგია. სენაკის მაზრის ს. ბალდაში მდინარე აბაშა გადმოჰქუხს თითქმის ოცის საჟენის სიმაღლე კლდეზედ და უფსკრულში ეცემა გაპეროებული—ქაფად ქცეული. მზიან დღეში ათას ფერად ცისარტყელა ეფინება იქაურ კლდეებს და მეტად კარგი სანახავია. აქ წყალი კიდეც მეჩხერდება, კიდეც ჩახრიალებს და კიდეც ჩაჰქუხს, მაგრამ არც ერთს ამ სიტყვას მას არ უწოდებენ; ეძახიან „ოფიცხოს“, ესეც ადგილობრივი სახელწოდებაა. ჩემის აზრით იმის შესახებ, თუ რომელი გეოგრაფიული სიტყვა სჯობიანო, ლაპარაკიც არ იყო საჭირო, რადგანაც ჩვენ გვაქვს ამ საგნის აღსანიშნავი სიტყვა და ეს გახლავთ: „ჩანჩქერი“. ეს სიტყვა კარგად ჰხატავს აზრს, ეს უხმარიათ ძველებსაც, ჰხმარობენ ეხლაც, რასაც ჩვენი ლექსიკონებიც ჰმოწმობს: საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში (გვერ. 358) ასე სწერია: ჩანჩქერი=წყალი კლდეზედ გადმონადენი; ჩუბინაშვილის ლექსიკონში (სვეტი 74) სწერია: водопадъ=ჩანჩქერი, და სხვა განმარტება და ახალის სიტყვის შემოღება, მე ვგონებ, საჭირო არ უნდა იყოს. ან რა დაუშავებია ამ სიტყვას, რომ ექსორია ვუქმნათ?

ქუთაისელი

## რომელი გეოგრაფიული სახელი სჯობიან?

„ივერიის“ მე-62 №-ში მეკვლემ სიტყვას „ჩახრიალას“ დაუდგა საარჩევანო ყუთი და შიგ შავი კენჭიც ჩაუძახა: არსად არ გამიგონიაო, ამ დღეებში მოგონილი უნდა იყოსო. არსად გაუგონია და სხვისაც არა სჯერა. „ჩახრიალა“ ქართლ-კახეთში იხმარება და იქაურ პატარა ბავშვსაც რომ ჰკითხოთ, იმანაც-კი იცის, რა არის ჩახრიალა. ხშირად თვითონვე აკეთებენ სათამაშოდ პაწია ჩახრიალას. წყლის ნაპირას, ან რუში წყალს ჩაულობავენ ფიცარს, ქვემო მხარეს, რომ ფიცარი წყალმა არ წაიღოსო, ჩაურჭობენ ორს დიდს პალოს, ჩაუწყობენ ზემო მხარედგან ბელტებს—ფიცრის ძირიდგან წყალი არ გამოიპაროსო და ჩახრიალაც მზად არის: წყალი შეტბორდება, გალივლივდება და შემდეგ ფიცრიდგან ძირს ჩახრიალდება. რად ვეძებთ სხვა სიტყვას, „ვოდოპადის“ გამომხატველს, როდესაც „ჩახრიალა“ ქართლ-კახეთში გეოგრაფიულ ტერმინად იხმარება ათადან-ბაბადან. ჩანჩქარი—რუსულად არის каскадъ-ი და არა водопадъ-ი.

ვანო ავალიშვილი

## შემოწირულება

მასწავლებელთა ეკატერინე ნიკოლოზის ასულმა შაიშმელიშვილმა შესწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრისთვის ხელოვნურად ნაკერი საპირფარეშო მაგიდის სუფრა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 მარტი

**ლონდონი.** („Times“) ჩინეთმა თანხმობა განაცხადა აღასრულოს საფრანგეთის ყოველივე მოთხოვნილება.

**ვაშინგტონი.** კონგრესის წევრებმა სხვა-და-სხვა ბანკირებისაგან მიიღეს დეპეშები, რომლებშიაც ბანკირები სთხოვენ მხარე დაუჭირეთ სამშვიდობო პოლიტიკასაო. ასეთივე დეპეშები მიიღო მაკ-კინლეიმ. ელჩები შეიკრიბნენ, რათა შეიმუშავონ მორიგების ისეთი პროექტი, რომლის მიიღებაც შეეძლოს როგორც კუბის მეამბოხეთ, აგრეთვე ისპანიას. ყველანი ამ ჟამად მორიგების შესახებ ჰფიქრობენ.

**სტოკჰოლმი.** სან-ფრანცისკოში მყოფი შვეციისა და ნორვეგიის ელჩი დეპეშით იუწყება, რომ ალიასკიდგან მოსული ვიღაც ჯეკ კერრი ამბობს, რომ პროფესორის ანდრეს წერილი მაქვსო; მაგრამ ამ წერილს არ აჩენს. ეს საქმე გამოკვლეული იქმნება.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეიმ გადასწყვიტა ორშაბათამდის ეპისტოლე არ გაუგზავნოს კონგრესს. საფრანგეთისა, გერმანიის, ავსტრიის და იტალიის ელჩებმა შეადგინეს ნოტა, რომელშიაც აცხადებენ: თანახმა ვართ შუამდგომლობა გავწიოთ ზავის დასადებათაო. ჯერ არავინ იცის ეს ნოტა დანიშნულებისამებრ გარდაეცა თუ არა.

27 მარტი.

**პარიჟი.** პალატამ ბიუჯეტი შეიწყნარა. პალატმ და სენატმა 1 ივნისამდე მოსპო მოქმედება.

**ვენა.** „Pol. Corr.“ იუწყება, რომ ვითომ კრიტში მყოფ რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის ესკადრის უფროსებს ნება მიეცათ მოურიგდნენ საერო კრების უმთავრეს წევრებს ისეთის გამგეობის შემუშავების შესახებ, რომელშიაც შეეძლოთ მონაწილეობა მიიღოს მცხოვრებელთა ორივე ნაწილმა. ელჩების მიერ შემუშავებულის და სახელმწიფოთა მიერ მიღებულის წესის თანახმად, პროექტის განხორციელება დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა სესხის აღებაზედ.

**პარიჟი.** სამხედრო სასამართლო შეიკრიბება ხვალ შერშ მიდში და მოილაპარაკებს ხალხის დაუსწრებლად იმის შესახებ თუ რა ღონე იღონოს ზოლას წინააღმდეგ, რადგანაც საკასაციო სასამართლომ გააუქმა ნაფიც მსაჯულთა გარდაწყვეტილება.

**მადრიდი.** მადრიდში მყოფმა ამერიკის საელჩომ საქმეები ინგლისის საელჩოს ჩააბარა. ვაშინგტონში მყოფი ისპანიის ელჩი საქმებს ჩააბარებს საფრანგეთის ელჩს. ღამე პაპისაგან დარიგების წერილი მიიღეს. მეორედ შეკრებილმა მისტრთა საბჭომ პასუხი შეუთვალა, რომ ეხლა გვინდაა, უკვე გადავწყვიტეთო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემს ურღმესს მადლობას ვუცხადებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ქართულ გალობის მასწავლებელს ბ-ნს დიმიტრი ქალაკანიძეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს სოფ. ნატოჩაოში (სენაკის მაზრა) ახლად დაარსებულ სამრევლო საეკკლესიო სკოლაში ქართულის გალობის სწავლება უსასყიდლოდ იკისრა. გარდა ამისა, ამ სკოლაში სწავლობენ ფრიად ღარიბნი და უდედ-მამო ბავშვები, რომელთაც საშუალება არა აქვთ სასწავლო ნივთები იყიდონ და არც ჩვენ გვაქვს იმდენი შეძლება, რომ ყველა დავაკმაყოფილოთ. ამიტომ მივაქცევ ქველ-მოქმედ საზოგადოების ყურადღებას ამ გარემოებას და იმედი მაქვს, რომ სასწავლო ნივთებს მოგვაწოდებენ ღარიბ და ობოლ მოსწავლეთ დასარიგებლად. ადრესი: ახალსენაკი.

ს. ნატოჩაოს სამრევლო სკოლის მასწავლებელი ტრიფონ კალანდარიშვილი


# განცხადებანი

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარ- და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუაე ლობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

ТОВАРИЩЕСТВО

Брокаръ и Кº.

ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ

УСОВЕРШЕНСТВОВАННОЕ

ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.




(11—.მ—10)

კვირას, 29 მარტს, დილის 11 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში გამართულ იქმნება

## საერთო კრება

იმ სასწავლებლების „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა, რომლებიც ქალაქის ხარჯით ინახება.

განსახილველი საგნები:

1. 1897 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება „საზოგადოების“ 1897 წლის ანგარიშის შესახებ.
3. არჩევანი სამსახურის წელთა შესრულებისა გამო გამგე კომიტეტის თავმჯდომარისა, კომიტეტის ერთის წევრისა, ხაზინადარისა, მდივნისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა. (3—6.—3)

მ ა ღ ა ზ ი ა

## ნ. ა. საბაშვილისა

ამით უცხადებს პატივცემულს ბათუმის საზოგადოებას, რომ ვინაიდგან ამ მაღაზიაში დარჩენილია დიდ-ძალი საქონელი წინა წლებისა, ბევრიცალობით არის დარჩენილი ის საქონელი, რომელიც იყიდება დ... ქინობით და იმის გამო, რომ ზო... ერთ საქონლით ვაჭრობას მალა... სპობს, 15 ამა მარტიდგან **სამ ქვირის განმავლობაში** დანიშ... ლია

## დიდი იაფობა

ჩვეულებრივ ფასიდგან 40%—60... დაკლებით.

შევაჭრება არ შეიძლება.

რადგანაც ჰურჰლის მაღაზია... სივიწროისა გამო გაყიდვა საქონლ... მოუხერხებელია, ამიტომ იაფო... გაიმართება სხვა მაღაზიაში ოკლ... ბეის ქუჩაზედ, ჩემის ავეჯეულობ... მაღაზიის გვერდით. (10—6.—...

## ტფილისის ქალაქი... გამგეობა

აცხადებს საყოველთაო საცნო... ლად, რომ 31 მარტს, ნაშუადღ... ვის 1 საათზედ, გამგეობის სა... გომში მოხდება მეორედ და უ... ნასკნელად

## საჯაროდ ვაჭრობა

იმ დუქნებისა და სარდაფები... იჯარით გასაცემათ, რომელი... გოლოვინის პროსპექტზედ ქ... ლაქის სახლში იმყოფება.

დაწვრილებითი პირობები... განხილვა მსურველს შეუძლია... გამგეობაში ყოველ დღე შუა... დის 12 საათიდგან 2 საათამდ... კვირა-უქმეების გარდა.

(3—6.—3)

„წერა-კითხვის საზოგადოებსი“,

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწე... ლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს | „ | 25 |
| კანვაზე საკერი ანბანი | „ | 40 |
| ქართლის ცხოვრება 1 წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი | 1 | 50 |